

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“

2017 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს პარტნიორებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საქართველოში აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების თანახმად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „მმართველობის ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მმართველობის ანგარიშთან დაკავშირებულ დასკვნას. ჩვენ გავეცანით მმართველობის ანგარიშს და შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნიტ, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ირინა გევორგიანი

შპს „KPMG Georgia“
22 მარტი, 2019 წელი

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	12,737	13,270
საინვესტიციო ქონება	10	4,771	4,798
გრძელვადიანი აქტივები		17,508	18,068
სავაჭრო მოთხოვნები	14	1,876	1,597
სხვა აქტივები		337	465
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1,759	1,604
მიმდინარე აქტივები		3,972	3,666
სულ აქტივები		21,480	21,734
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		27,398	27,398
გადაუხდელი კაპიტალი		(234)	(234)
დაგროვილი ზარალი		(7,324)	(6,826)
სულ კაპიტალი	12	19,840	20,338
ვალდებულებები			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		805	866
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		835	530
მიმდინარე ვალდებულებები		1,640	1,396
სულ ვალდებულებები		1,640	1,396
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,480	21,734

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-31 გვერდებზე.

შპს „ჯი არ ლოჯისტიკა და ტერმინალები“
2017 წლის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	15,660	12,960
საოპერაციო ხარჯი	6	(13,210)	(10,226)
თანამშრომლების ბენეფიტების ხარჯი		(1,985)	(2,058)
ცვეთა		(571)	(526)
სხვა შემოსავალი		613	595
სხვა ხარჯები	7	(965)	(727)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		(458)	18
საპროცენტო შემოსავალი		44	45
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(84)	84
წმინდა საფინანსო (ხარჯი)/შემოსავალი		(40)	129
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(498)	147
მოგების გადასახადი	8	-	(510)
ზარალი და სრული ზარალი წლის განმავლობაში		(498)	(363)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 22 მარტს და მისი სახელით დოკუმენტს ხელს აწერენ:

ლაშა ახალბედაშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ფუტკარაძე
ფინანსური მენეჯერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-31 გვერდებზე.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
2017 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

’000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გადაუხდელი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	24,474	(234)	(6,463)	17,777
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი	-	-	(363)	(363)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან				
ფულადი შენატანები მშობელი კომპანიისგან (მე-9 შენიშვნა)	2,924	-	-	2,924
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან	2,924	-	-	2,924
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	27,398	(234)	(6,826)	20,338
 ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	 27,398	 (234)	 (6,826)	 20,338
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი	-	-	(498)	(498)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან				
არაფულადი შენატანები მშობელი კომპანიისგან (შენიშვნა 9)	-	-	-	-
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან				
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	27,398	(234)	(7,324)	19,840

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-31 გვერდებზე.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
2017 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ფულადი შემოსულობები კლიენტებისგან		15,790	13,700
მომწოდებლებს და თანამშრომლებს გადახდილი თანხები		(15,673)	(12,929)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საპროცენტო შემოსავლის მიღებამდე		117	771
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		44	46
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		161	817
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(11)	(7)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(11)	(7)
 წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		150	810
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,604	702
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის მერყეობის გავლენა		5	92
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	1,759	1,604

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-31 გვერდებზე.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და ის რეგისტრირებული და დაფუძნებული არის საქართველოში 2009 წლის 1 ნოემბერს.

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი არის 202462101.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი არის საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15, საფოსტო ინდექსი 0112.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატვირთო საექსპედიტორო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, სარკინიგზო, საგზაო და საზღვაოსნო ტრანსპორტით მშრალი ტვირთის ტრანსპორტირების პერიოდში საქართველოში და საქართველოს გარეთ.

კომპანიას მთლიანად ფლობს სს „საქართველოს რკინიგზა“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელსაც, თავის მხრივ, ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“, სრულად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ჯგუფი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-16 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს-ები) სრულ შესაბამისობაში. წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ანგარიშგებას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) თანახმად.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნულ ვალუტას ლარი წარმოადგენს, რომელიც კომპანიის სამუშაო და ასევე ის ვალუტაა, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

4. შეფასების და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

წინამდებარე ანგარიშგებაში არ არის გამოყენებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით რაიმე კრიტიკული დაშვებები, რომლებსაც გავლენა ექნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, მოცემულია შენიშვნებში და 9 (ა) – კომპანიის ძირითადი საშუალებების ძირითადი კლასების გაუფასურება; და

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა განმარტებითი შენიშვნების და შეფასების მიზნით.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს, კომპანია ცდილობს შესაძლებლობებიდან გამომდინარე გამოიყენოს საბაზრო ინფორმაცია.

სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით.

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემაჯალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 9(ბ) - არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულება, შენიშვნაში 10(ა) - საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება და შენიშვნაში 14(ა) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2017	2016
საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	13,965	11,314
ბორანის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	779	558
ტერმინალის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	647	898
სხვადასხვა	269	190
	15,660	12,960

6. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯი	12,652	9,526
მასალები	205	140
ბორანის მომსახურების ხარჯი	90	440
რემონტის ხარჯი	70	55
სხვადასხვა	193	65
	13,210	10,226

7. სხვადასხვა ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
გადასახადები, მოგების გადასახადის გამოკლებით	197	170
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი (შენიშვნა 14(ბ)(ii))	152	-
მივლინების ხარჯები	83	70
ადმინისტრაციული ხარჯები	77	65
კომუნალური ხარჯები	71	73
დაცვის ხარჯები	62	58
დაზღვევის ხარჯები	53	45
სხვადასხვა ხარჯი	270	246
	965	727

8. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიისთვის მოქმედ საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი.

'000 ლარი	2017	2016
ცვლილება აღიარებულ დაქვითვას დაქვემდებარებულ დროებით		
სხვაობებში (საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად)	-	(510)
	-	(510)

მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2017		2016	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე	(498)	100	148	100
გადასახადი კომპანიის შიდა საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	-	-	22	15
სხვაობა შემოსავლის და ხარჯების საგადასახადო და ფასს ბაზებს შორის	-	-	(22)	(15)
ცვლილება აღიარებულ დაქვითვას დაქვემდებარებულ დროებით	-	-	-	-
სხვაობებში (საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად)	-	-	(510)	(345)
	-	-	(510)	(345)

ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივების დაბრუნება 510 ლარის ოდენობით უკავშირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კერძოდ, 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე.

კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე შევიდა, კომპანიამ ცვლილების სრული ეფექტის აღიარება განახორციელა ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერით წინა პერიოდის მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

9. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები*	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	10,680	5,245	386	16,311
შესყიდვები	49	2,870	12	2,931
2016 წლის 31 დეკემბერს	10,729	8,115	398	19,242
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	10,729	8,115	398	19,242
შესყიდვები	3	1	7	11
2017 წლის 31 დეკემბერს	10,732	8,116	405	19,253
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი				
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	(3,587)	(1,623)	(270)	(5,480)
ცვეთის დარიცხვა	-	(430)	(62)	(492)
2016 წლის 31 დეკემბერს	(3,587)	(2,053)	(332)	(5,972)
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	(3,587)	(2,053)	(332)	(5,972)
ცვეთის დარიცხვა	(33)	(476)	(35)	(544)
2017 წლის 31 დეკემბერს	(3,620)	(2,529)	(367)	(6,516)
წმინდა ნომინალური ღირებულება				
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	7,093	3,622	116	10,831
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	7,142	6,062	66	13,270
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	7,112	5,587	38	12,737

2016 წლის 1 იანვარს, კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღში ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრა საბალანსო ღირებულებაზე მიმართებით, რომელიც შესული იყო მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

(a) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2016 წლის 1 იანვარს, ხელმძღვანელობამ მოახდინა კომპანიის ძირითადი საშუალებების შესაძლო გაუფასურების იდენტიფიცირება, რადგან საექსპედიტორო და სატერმინალო მომსახურებები არ ახდენდნენ საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირებას, როგორც ამას თავდაპირველად მოელოდა კომპანიის ხელმძღვანელობა.

ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა მის გამოყენებულ ღირებულებაზე დაყრდნობით, თუმცა ის არ შემცირდა მის გასაყიდ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების ოდენობის მიღებულ შედეგზე ნაკლებით. ძირითადი კლასის საბალანსო ღირებულება უფრო მაღალი მაჩვენებლით განისაზღვრა, ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება 10,715 ათასი ლარის ოდენობით და, შესაბამისად, გაუფასურების ზარალი 4,086 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა დაგროვილ ზარალში 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

გამოყენებული ღირებულება:

ქვემოთ მოცემულია ძირითადი დაშვებები, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად:

- ფულადი ნაკადების განაწილება მომავალ პერიოდზე ხდება კომპანიის 5 წლიანი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.
- წმინდა ფულადი ნაკადების ყოველწლიური 10%-იანი ზრდა განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ ტვირთის გადაზიდვების და ტერმინალის მომსახურების სექტორის მომავალი ტრენდების გათვალისწინებით;
- ტერმინალური გრძელვადიანი ზრდის ტემპი განისაზღვრა საქართველოს და მიმდებარე რეგიონის ეკონომიკის გრძელვადიანი პროგნოზის თანახმად, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს კომპანიის საქმიანობაზე.
- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია დისკონტის განაკვეთი - 16% (დაბეგვრამდე). დისკონტის განაკვეთი წარმოადგენს კომპანიების ქართულ ლარში განსაზღვრული კაპიტალის ბრუნვის ნომინალურ განაკვეთს.
- გონივრულ ცვლილებას ზემოთ მოცემულ შეფასებებში არსებითი გავლენა არ ექნება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ძირითადი საშუალებების გასაყიდი ღირებულებას სარეალიზაციო ღირებულების გამოკლებით მიღებული ოდენობა მეტია გამოყენებულ ღირებულებაზე.

გასაყიდ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულება:

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია შეფასების ტექნიკა, რომელიც გამოიყენება კომპანიის ძირითადი საშუალებების გასაყიდ ღირებულებაზე სარეალიზაციო ღირებულების გამოკლების შესაფასებლად, ასევე გამოყენებული მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი შემავალი მონაცემები.

ძირითადი საშუალებები	შეფასების ტექნიკა
მიწა და შენობა-ნაგებობები	მიწის და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ოპერაციებში ბაზრის ფასების ან მსგავს ადგილმდებარეობაზე მსგავსი და ფიზიკური პირობების მქონე ქონების გამოცხადებული მოთხოვნილი ფასების საფუძველზე. მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი შემავალი მონაცემები, რომლებიც მიწის და შენობა-ნაგებობების მახასიათებლებში წარმოდგენილ სხვაობებს უკავშირდება, როგორც არის ზომა, ადგილმდებარეობა, ქონებაზე წვდომა და მოლაპარაკებებისას მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც კომპანია იყენებს 0-დან 40%-მდე ცვლილებას დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე.
მანქანა-დანადგარები	ტექნიკური დანადგარების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ოპერაციებში ბაზრის ფასების ან მსგავს ადგილმდებარეობაზე მსგავსი და ფიზიკური პირობების მქონე ქონების გამოცხადებული მოთხოვნილი ფასების საფუძველზე. არსებითი არადაკვირვებადი კომპონენტები დაკავშირებულია ტექნიკური დანადგარების ადგილმდებარეობასთან და მდგომარეობასთან, და მათთვის კომპანიამ გამოიყენა გასაყიდი ფასის 0%-დან 10%-მდე კორექტირებები.

გონივრულ ცვლილებას ზემოთ მოცემულ შეფასებებში არსებითი გავლენა არ ექნება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების მთავარი კლასების საბალანსო ღირებულება შეადგენს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია დონე 3-ში, რადგან მისი შეფასების დროს გამოყენებული იყო არსებითი კორექტირებები და არასაბაზრო მონაცემები.

(b) არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულება

2017 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა არაფულადი შენატანები პარტნიორი კომპანიის მიერ. კაპიტალს დამატებული თანხა - 2,931 ათასი ლარი 2016 წლის განმავლობაში შეიცავს არაფულად შენატანებს 2,924 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ამ აქტივების სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს.

კაპიტალში შეტანილი იყო დაახლოებით 460 ოც-ფუტიანი კონტეინერი.

არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულების დადგენა მოხდა მსგავსი ადგილმდებარეობის და ფიზიკური მდგომარეობის აქტივების გამოცხადებული ფასების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების შეფასება წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე 3-ში რადგან შეფასებაში გამოყენებული იყო არსებითი არადაკვირვებადი კორექტირებები. არსებითი არადაკვირვებადი მონაცემები დაკავშირებულია ქონების მახასიათებლებთან როგორცაა ადგილმდებარეობა და ფიზიკური მდგომარეობა, რომლებთან მიმართებაშიც კომპანიამ გამოიყენა ფასის 0%-დან 5%-მდე კორექტირება.

10. საინვესტიციო ქონება

'000 ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები
თვითღირებულება	
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	5,627
2016 წლის 31 დეკემბერს	5,627
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	5,627
შესყიდვები	-
2017 წლის 31 დეკემბერს	5,627
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი	
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	(795)
ცვეთის დარიცხვა	(34)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	(829)
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	(829)
ცვეთის დარიცხვა	(27)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(856)
წმინდა ნომინალური ღირებულება	
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	4,832
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	4,798
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	4,771

საინვესტიციო ქონების თვითღირებულება 2016 წლის 1 იანვარს (კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი) განისაზღვრა მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესულ საბალანსო ღირებულებაზე მიმართებით.

საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწის ნაკვეთებს მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, რომლებიც მოიჯარეებზეა გაცემული, 17,544 კვ.მ. (ფოთში მდებარე მიწის ნაკვეთი I) და 54,329 კვ.მ. (ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთი II). ორივე იჯარა მოიცავს მარტივად გაუქმებად პირობებს, ყოველწლიური ფიქსირებული საიჯარო ღირებულებით.

2017 წლის განმავლობაში საინვესტიციო ქონების საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 360 ათასი ლარი (2016: 360 ათასი ლარი) და წარმოდგენილია სხა შემოსავალში.

(a) კომპანიის საინვესტიციო ქონების გაუფასურება

2016 წლის 1 იანვარს ხელმძღვანელობამ მოახდინა ინდიკატორის იდენტიფიცირება, რომლის თანახმადაც, კომპანიის საინვესტიციო ქონება არ გამოიმუშავებდა ხელმძღვანელობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფულად ნაკადებს. საინვესტიციო ქონების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა მის სამართლიან ღირებულებაზე მისი სარეალიზაციო ღირებულების გამოკლებით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 5,422 ათასი ლარის ოდენობით უფრო მაღალი მაჩვენებლით განისაზღვრა, ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება 4,832 ათასი ლარის ოდენობით და შესაბამისი გაუფასურების ზარალი 590 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა დაგროვილ ზარალში 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(b) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობის აზრით, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწის ნაკვეთი I-ის სამართლიანი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

ხელმძღვანელობის აზრით, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწის ნაკვეთი II-ის სამართლიანი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე 121%-ით და 110%-ით უფრო მაღალია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია შეფასების ტექნიკა და არსებითი არადაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც გამოყენებულია მიწის და შენობა-ნაგებობების შეფასებაში:

საინვესტიციო ქონება	შეფასების ტექნიკა
მიწის ნაკვეთები	მიწის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ოპერაციებში ბაზრის ფასების ან მსგავს ადგილმდებარეობაზე მსგავსი და ფიზიკური პირობების მქონე ქონების გამოცხადებული მოთხოვნილი ფასების საფუძველზე. მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი შემავალი მონაცემები, რომლებიც მიწის და შენობა-ნაგებობების მახასიათებლებში წარმოდგენილ სხვაობებს უკავშირდება, როგორც არის ზომა, ადგილმდებარეობა, ქონებაზე წვდომა და მოლაპარაკებებისას მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც კომპანია იყენებს 0-დან 40%-მდე ცვლილებას დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე.
შენობები	შენობის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემდეგი ფორმულით: საინვესტიციო ქონების მიმდინარე საიჯარო შემოსავალი გაყოფილია ქონების კაპიტალიზაციის განაკვეთზე - 13% - და მას გამოაკლდება მიწის შესაბამისი სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულების კაპიტალიზაცია მოხდა დონე 3-ში, რადგან შეფასებაში გამოყენებული დაკვირვებადი მონაცემები შეიცავს არსებით არადაკვირვებად კორექტირებებს.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ბანკში არსებული ნაშთები	1,759	1,604
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	1,759	1,604

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც გააჩნია მოკლევადიანი დეფოლტის რეიტინგი B, სააგენტო Fitch-ის მიხედვით. კომპანიის მოლოდინით,

კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი მცირეა.

12. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ თანხას.

(b) გადაუხდელი კაპიტალი

გადაუხდელი კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას თავდაპირველად განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებასა (კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში აღრიცხული) და მშობელი კომპანიისგან კომპანიის მიერ მოსალოდნელ მისაღებ თანხას შორის.

(g) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე აქვთ ჯგუფში მათი წილის შესაბამისი რაოდენობით ხმის უფლება ჯგუფის კრებებზე.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობის მიზანია უზრუნველყოს ძლიერი კაპიტალის ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ბაზრის მონაწილეებს შორის ნდობის შენარჩუნების მიზნით. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაკისრებულ კაპიტალურ მოთხოვნებს.

14. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება, ამ ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე დაფარვის ვადების ან მოთხოვნამდე თვისების გამო.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მიზეზით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი, და
- საბაზრო რისკი.

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და მიმოხილვაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება კომპანიის წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის მიზნით, რომლითაც დგინდება რისკების შესაბამისი ზღვრები და საკონტროლო მექანიზმები, ასევე ხორციელდება რისკების მონიტორინგი და ლიმიტების განსაზღვრა. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის

პირობებში და კომპანიის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. სატრენინგო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, კომპანიის მიზანია შეიმუშაოს კონტროლის დისციპლინირებული და კონსტრუქციული გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია-მოვალეობები.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს თუ რამდენად ახდენს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის კონტროლს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგომ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დაქვემდებარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტებისთვის:

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
'000 ლარი		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	1,759	1,604
სავაჭრო მოთხოვნები	1,876	1,597
	3,635	3,201

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ მრეწველობის და ქვეყნის დეფოლტის რისკზე, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, კერძოდ ბოლო დროს გართულებულ ეკონომიკურ პირობებში.

2017 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 66% (2016: 60%) უკავშირდება ოპერაციებს კომპანიის 3 ძირითად კლიენტთან.

საკრედიტო რისკის მართვა მიმდინარეობს სატვირთო საექსპედიტორო საქმიანობაში წინასწარი ავანსების მოთხოვნის საფუძველზე. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შეიცავს უცხოური ქვეყნების მოთხოვნებს, ლოჯისტიკური და მშრალი ტვირთის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვა მიმდინარეობს მოთხოვნების ყოველთვიური მონიტორინგის საფუძველზე, დაგროვილი ვალდებულებების დაუყოვნებლივი გადახდის მოთხოვნით, იმ მომენტისთვის როდესაც თითოეული კონტრაგენტის მოთხოვნა აღწევს გარკვეულ ლიმიტს.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესის განმავლობაში, ხდება კლიენტების დაჯგუფება საკრედიტო მახასიათებლების თანახმად, მათ შორის ვადიანობის, ხანდაზმულობის და წინა პერიოდებში არსებული ფინანსური სირთულეების არსებობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნასთან მიმართებაში ზოგადად არ მოითხოვება უზრუნველყოფა.

კომპანიის მიერ დაწესებული გაუფასურების რეზერვი წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებიდან მიღებული ზარალის შეფასების შედეგს. ამ რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ინდივიდუალური არსებითი ნაშთების რეზერვები და მსგავსი ტიპის აქტივების ჯგუფის ერთობლივი რეზერვი იმ ზარალებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული არ იყო.

გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

'000 ლარი	ბრუტო 2017	გაუფასურება 2017	ბრუტო 2016	გაუფასურება 2016
ვადაგადაცილების გარეშე	1,876	-	1,597	-
0-30 დღის ვადაგადაცილება	-	-	-	-
31-90 დღის ვადაგადაცილება	-	-	-	-
91-365 დღის ვადაგადაცილება	152	(152)	-	-
წელიწადზე მეტი ვადაგადაცილებით	914	(914)	914	(914)
	2,942	(1,066)	2,511	(914)

რეზერვის ანგარიშის გამოყენება ხდება სავაჭრო მოთხოვნების მიმართ კომპანიის გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კომპანიას გააჩნია საკმარისი რწმუნებულება რომ ვალდებულების დაფარვა შეუძლებელია; ამ შემთხვევაში მოხდება თანხის ჩამოწერა ფინანსური აქტივის მიმართ.

გაუფასურების რეზერვში მოძრაობა წლის განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	914	914
წმინდა ბრუნვა	152	-
ნაშთი წლის ბოლოს	1,066	914

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ხუთი არსებითი კლიენტი შეადგენს სულ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების 70%-ს (2016 წლის 31 დეკემბერს: 75%-ს).

კომპანიას ოთხი წლის განმავლობაში ვაჭრობს კლიენტებთან რომლებსაც არ აღერიცხებათ ვადაგადაცილება და მათთან მიმართებაში დეფოლტის შემთხვევა არ მომხდარა.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად სამი თვის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის. ეს გამოირიცხავს ისეთი ექსტრემალური პირობების შესაძლო გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

მისი ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ვადიანობის ცხრილებს იყენებს. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დაიფაროს ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან - 2017 წლის 31 დეკემბერი - ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში. ხელმძღვანელობის აზრით ფულადი სახსრების შემოძინების ვადები ფინანსური ვალდებულებებიდან არ აღემატება ერთ წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვლილება, როგორც არის უცხოური ვალუტის განაკვეთები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკის დაქვემდებარების მართვა და კონტროლი, მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის სავალუტო რისკს გასწევს მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში, რომლებიც ლარისგან განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციებია უმეტესად დენომინირებული არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკის მიმართ წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2017 წლის 31 დეკემბრის	აშშ დოლარში დენომინირებული 2016 წლის 31 დეკემბრის
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,555	1,545
სავაჭრო მოთხოვნები	1,239	493
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(580)	(278)
წმინდა დამოკიდებულება	2,214	1,760

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღში	
	2017	2016	2017	2016
აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გონივრულ შესაძლო ცვლილებას აშშ დოლართან მიმართებაში 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმნიშვნელო გავლენა ექნება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და დაბეგვრამდე მოგებაზე ან ზარალზე.

მოცემული ანალიზის დაშვებაა, რომ ყველა სხვა ცვლადი და განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთი უცვლელია.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
აშშ დოლარი (10% ბრუნვა)	221	(221)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
აშშ დოლარი (10% ბრუნვა)	176	(176)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულ განაკვეთიანი დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთიანი დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს კომპანიის მგრძნობელობა ფიქსირებულ ან ცვალებადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება ჯგუფისთვის, თუ - ცვალებადი განაკვეთი მოსალოდნელი დროის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ერთადერთ ფიქსირებულ განაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენენ.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულ განაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ან გასაყიდად ხელმისაწვდომობის კატეგორიაში. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას არ ექნება გავლენა მოგება-ზარალზე ან კაპიტალზე.

15. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებით გადასახადის, ჯარიმის ან მოსაკრებლების ვალდებულება შესაძლოა არ დაერიცხოს საგადასახადო უწყების მიერ თუ იმ წლის შემდეგ, როდესაც ამგვარი დარღვევა წარმოიშვა სამი წელი იქნება გასული.

ამგვარმა ვითარებამ შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს კომპანიისული ინტერპრეტაციისგან და იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით შესძლებენ მათი ინტერპრეტაციის ამოქმედებას, მათ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) სასამართლო საქმეები

საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში ჯგუფი სასამართლო სარჩელების, საქმეთწარმოებების და დავების საგანს წარმოადგენს. ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი სამართალწარმოებებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არსებითი უარყოფითი გავლენა არ ექნება ფინანსურ პირობებზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე.

(გ) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული დაზღვევის მრავალი სახეობა, ზოგადად, ჯერ ხელმიუწვდომელია საქართველოსათვის. კომპანიას სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს-საქმიანობის წყვეტა, ან ქონების და გარემოს დაზიანების გამო მესამე მხარის ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ოპერაციების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევების საფუძველზე. სანამ ჯგუფი არ უზრუნველყოფს შესაფერის სადაზღვეო გარანტიებს, მუდამ იარსებებს იმის რისკი, რომ კონკრეტული აქტივის განადგურებით ან დაკარგვით ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას მიაღება სერიოზული ზიანი.

16. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი პირი

2017 წლის 31 დეკემბრის და იმ თარიღის მდგომარეობით, როდესაც ნებადართული იყო წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემა, ჯგუფის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანიებია სს „საქართველოს რკინიგზა“ და სს „საპარტნიორო ფონდი“, შესაბამისად. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია საქართველოს მთავრობა.

სს „საპარტნიორო ფონდი“ გამოაქვეყნებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები მმართველ რგოლთან

(i) მმართველი რგოლის ანაზღაურება

წლის განმავლობაში მმართველმა რგოლმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რაც შესულია დაქირავებულ პირთა სარგებლის ხარჯებში:

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	54	54

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარესთან

(i) ოპერაციები სახელმწიფოსთან

კომპანია ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში ოპერაციებს აწარმოებს რამდენიმე საწარმოსთან, რომლებიც საქართველოს მთავრობის კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს ბასს 24-ით (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) განსაზღვრული გათავისუფლების უფლება, რაც სახელმწიფო საწარმოებთან ოპერაციების შესახებ დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების შემჭიდროვებულად წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

კომპანიის სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან განხილულია ქვემოთ.

(ii) ოპერაციები პარტნიორ კომპანიასთან

'000 ლარი	ოპერაციები 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		საბალანსო ღირებულება	
	2017	2016	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯი მშობელი კომპანია	6,922	5,908	318	204

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დაკავშირებულ მხარეებთან და სახელმწიფოსთან ტრანზაქციების საბალანსო ღირებულება არსებითი არ არის.

17. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავალი

(i) სატვირთო საექსპედიტორო საქმიანობა

სატვირთო საექსპედიტორო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღრიცხულია მიღებული ან მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით. სატვირთო საექსპედიტორო საქმიანობა აღიარდება მოგება ან ზარალში სერვისის მიმდინარე სტადიების თანახმად, რომელიც შეესაბამება ტვირთის გასვლის ადგილმდებარეობიდან საბოლოო დანიშნულებამდე ტრანზიტის დროს.

(ii) ტერმინალის სერვისი და სხვა მომსახურება

შემოსავალი სერვისებიდან აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც მოხდა შესაბამისი სერვისის მიწოდება.

(iii) საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან აღიარდება შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში. გაცემული საიჯარო შეღავათები აღიარდება მთლიანი საიჯარო შემოსავლის შემადგენელი ნაწილის სახით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

(b) სხვა შემოსავალი

(i) საიჯარო გადასახადები

საოპერაციო ლიზინგის გადასახადები წარმოდგენილია მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ლიზინგის პერიოდის განმავლობაში.

(g) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი შეიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგებას ან ზარალს ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

(d) უცხოური ვალუტა

(ii) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით ფასდება, კონვერტირდება

კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა უცხოურ ვალუტაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებას ან მოთხოვნას დასაბეგრ შემოსავალზე ან წლის ზარალზე იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. ასევე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნით, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და, საგადასახადო მიზნით, გამოყენებულ თანხებს შორის

გადავადებული გადასახადის აღიარება არ ხდება აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების დროს იმ გარიგებებში რომლებიც არ არის ბიზნესების შერწყმა ან ყიდვა და რომლებსაც არ აქვთ გავლენა სააღრიცხვო ან საგადასახადო მოგებაზე.

გადავადებული გადასახადი ფასდება საგადასახადო განაკვეთით, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებთან მიმართებაში, როცა ისინი აღდგება, ანგარიშგების თარიღისთვის ძალაში შესული ან შემდგომში ამოქმედებულ კანონმდებლობის საფუძველზე.

გადავადებული გადასახადის შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც ითვალისწინებს „კომპანიის“ მოლოდინებს, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღადგინოს ან დაფაროს მისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთ გაიქვითება, თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის სამართლებრივი უფლება და ისინი უკავშირდება იგივე საგადასახადო უწყების მიერ იგივე დაბეგვრის საწარმოზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს, ან სხვა საგადასახადო უწყებებს, მაგრამ მათ ჰქონდათ სურვილი მოეხდინათ მათი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე, ან მათი საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ერთდროულად რეალიზდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალებთან, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და დაქვითვად დროებით სხვაობებთან მიმართებაში იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყველა საანგარიშგებო თარიღში და მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია;

ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ აღარ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(v) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა მისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვა 2016 წლის 1 იანვარს, ჯგუფის ფასს-ებზე გადასვლის თარიღში, იმ საბალანსო ღირებულებაზე მიმართებით, რომელიც შესული იყო მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და რომელიც მოიცავს ფასს 1-ით განსაზღვრულ შერჩევით გათავისუფლებას.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციას, აქტივის დემონტაჟის, გატანის და იმ ადგილის დასუფთავების ღირებულებას, სადაც აქტივია განთავსებული.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ცალკე კომპონენტები (ძირითადი კომპონენტები).

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზირება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ხარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ყოველდღიური ხარჯი გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან.

ცვეთის საფუძველს წარმოადგენს აქტივის ღირებულება, რომელსაც გამოკლებულია მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითად საშუალებებს თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განვითარებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- | | |
|--|-----------------|
| • შენობა-ნაგებობები | 10-50 წელიწადი; |
| • სხვადასხვა სახის ტექნიკური დანადგარები | 10-25 წელიწადი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 3-15 წელიწადი. |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება ყველა ფინანსურ წელს გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება.

(z) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივეს მისაღებად. საინვესტიციო ქონება მოიცავს ქონებას მოცემული მომენტისთვის განუსაზღვრელი მომავალი სარგებლობით.

საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება აღრიცხოს მისი საინვესტიციო ქონება 2016 წლის 1 იანვარს, ჯგუფის ფასს-ებზე გადასვლის თარიღში, მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული საბალანსო ღირებულებაზე მიმართებით, რაც მოიცავს ფასს 1-ით განსაზღვრულ შერჩევით გათავისუფლებას.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯის ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის გამოცვლის ხარჯს, იმ ღირებულებით, რომელსაც ის გასწევდა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა აღიარებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება და გამორიცხავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება თვითღირებულებაზე დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი გაუფასურების გამოკლების გზით.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შენობა-ნაგებობის სარგებლიანი პერიოდი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში იყო 50 წელი.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც ისინი გაიყიდება ან თუ საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოსული იქნება მოხმარებიდან და მოსალოდნელი არ არის, რომ გაყიდვისას წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი.

საინვესტიციო ქონების გადაცემა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ცვლილებას მის გამოყენებაში, რაც მტკიცდება მესაკუთრის საქმიანობის დასრულებით ან სხვა პირის მიერ საოპერაციო იჯარის დაწყებით. საინვესტიციო ქონებიდან გადასვლა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ცვლილებას მის გამოყენებაში, რაც მტკიცდება მესაკუთრის საქმიანობის დაწყებით ან გაყიდვის მიზნით განვითარების დაწყებით.

(T) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებში: სესხები და მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებს და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ის გასცემს ფინანსურ აქტივზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ოპერაციაში, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკის გადაცემა. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი უფლება გაქვითოს აღიარებული თანხები და სურვილი ექნება განახორციელოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ამ მომენტისთვის, კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება განახორციელოს გაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ უკავშირდება მომავალ მოვლენას და ამოქმედდება როგორც საქმიანობის ნორმალურ პირობებში, ასევე კომპანიის და ყველა კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადაუხდელობის ან გაკოტრების შემთხვევაშიც.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და კრედიტები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამგვარი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების დამატებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია წარმოადგენს მოთხოვნას აქციონერის მიმართ, საიჯარო მოთხოვნას და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებებია თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ამგვარი ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(iii) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(ი) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ყოველ ანგარიშგების თარიღში, იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ის გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცემა ან საერთოდ უარის თქმას ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა და ისეთი პირობით, რომ კომპანია სხვაგვარად არ განსაზღვრავს;
- ნიშნებს იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება;
- მსესხებლების გადახდის სტატუსის უარყოფით ცვლილებას კომპანიაში;
- ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც გადაუხდელობას იწვევს;
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შეფასებად კლებას აქვს ადგილი.

კომპანიის სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც ინდივიდუალური აქტივის, ასევე - ერთობლივ დონეზე. ყოველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც კონკრეტულად გაუფასურებული არ აღმოჩნდება, ერთობლივად ფასდება გაუფასურებაზე, რაც გაწეულია, მაგრამ არ არის ჯერ იდენტიფიცირებული. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, ერთობლივად შეფასდება, სესხების და მოთხოვნების მსგავსი რისკის მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების გზით.

გაუფასურების ერთობლივი შეფასებისას ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც იცვლება ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალი, რომელიც განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით, დაანგარიშდება, როგორც სხვაობა მის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება სარეზერვო ანგარიშში, სესხებსა და მოთხოვნებთან მიმართებაში. გაუფასურების აქტივის პროცენტი განაგრძობს აღიარებას დისკონტირების დაბრუნებით. როდესაც შემდგომი მოვლენა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურების ზარალის კლება დაბრუნდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების წარდგენის ყოველ თარიღში გადაიხედება იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალი. ამგვარი მითითებების არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების შემოდინების გენერირებას და ისინი მოიხმარენ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის სახით. კორპორატიული აქტივები გადანაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ტესტირების შემადგენელი ნაწილის სახით, რომელზედაც გადანაწილდება კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მისი გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ღირებულება) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალი აღიარდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) აქტივების საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

გაუფასურების ზარალი გაუქმდება თუ ადგილი ექნება ცვლილებას შეფასებებში, რომელიც გამოიყენება ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად. გაუფასურების ზარალი უქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ გაუფასურების ზარალი არ აღიარდებოდა.

(k) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ თანხაზე, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმის საფუძველზე, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისთვის და ვალდებულება შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული.

(l) ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოდ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულებების ანგარიშსწორების მიზნით. ანარიცხი განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის ამორტიზაცია აღიარებულია ფინანსურ ხარჯში.

19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა

არსებობს რიგი ახალი სტანდარტი, შესწორება სტანდარტებში და ინტერპრეტაცია, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

(a) ფასს 9-ის და ფასს 15-ის მიღების ეფექტის შეფასება

კომპანიამ მოთხოვნების შესაბამისად მიიღო ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები და ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან არსებული კონტრაქტებიდან 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიამ შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9-ის და ფასს 15-ის თავდაპირველი მიღების ეფექტი არ არის არსებითი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2018 წლის 1 იანვარს ფინანსური ანგარიშგებისთვის ეფექტის განსაზღვრა მოხდა არსებულ თარიღამდე წინასწარი შეფასების საფუძველზე.

(b) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9, რომელიც გამოცემული იყო 2014 წლის ივლისში ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება). ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომელის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს და ჰეჯების აღრიცხვის ახალ მოთხოვნებს. სტანდარტი ასევე აგრძელებს ბასს 39-ის ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების და აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, ვადაზე ადრე მიღების შესაძლებლობით.

(გ) ფასს 15 შემოსავალი

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 (შემოსავალი), ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები) და ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები). ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ საწარმო ერთეული აღიარებს შემოსავალს იმისთვის რომ აღრიცხოს შეპირებული საქონლის ან სერვისის გადაცემა ერთი მხარისგან მეორეზე შეთანხმებული საფასურის სანაცვლოდ. ახალი სტანდარტი შეიცავს შემოსავლის განვრცობილ წარდგენის მოთხოვნებს და მასში გაუმჯობესებულია განმარტებები ისეთი გარიგებებისთვის, რომლებიც შეიცავს მრავლობითი ელემენტებს. „ფასს 15 მოქმედებს ყოველწლიური პერიოდებისთვის, 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებისთვის.

(d) ფასს 16 იჯარები

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

კომპანიამ შეაფასა ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული შესაძლებელი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული რეალური გავლენა პირველად პერიოდში დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ გარემოებებზე, მათ შორის კომპანიის საკრედიტო განაკვეთზე 2019 წლის 1 იანვარს, კომპანიის სალიზინგო პორტფელზე და დასკვნაზე მომგებიანი იჯარების განგრძობადობასთან და აღიარების გამონაკლისებთან დაკავშირებით. .

20. ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები

2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა პარტნიორი კომპანიის მიერ განხორციელებული არაფულადი შენატანების ხარჯზე, რაც წარმოდგენილია ვაგონების, მიწის ნაკვეთებისა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სახით 55,482 ათასი ლარის, 277 ათასი ლარისა და 301 ათასი ლარის სახით.



შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ირინა გევორგიანი


შპს „KPMG Georgia“
22 მარტი, 2019 წელი

შპს „ჯი არ ლოჯისტიკის და ტერმინალები“
2017 წლის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	15,660	12,960
საოპერაციო ხარჯი	6	(13,210)	(10,226)
თანამშრომლების ბენეფიტების ხარჯი		(1,985)	(2,058)
ცვეთა		(571)	(526)
სხვა შემოსავალი		613	595
სხვა ხარჯები	7	(965)	(727)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		(458)	18
საპროცენტო შემოსავალი		44	45
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(84)	84
წმინდა საფინანსო (ხარჯი)/შემოსავალი (ზარალი)/მოგება დაბეგრამდე		(498)	147
მოგების გადასახადი	8	-	(510)
ზარალი და სრული ზარალი წლის განმავლობაში		(498)	(363)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 22 მარტს და მისი სახელით დოკუმენტს ხელს აწერენ:


ლაშა აბალბედაშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი


ბექა ფუტყარაძე
ფინანსური მენეჯერი



მმართველობითი ანგარიში



ლოგისტიკა და
ტერმინალები

2017 წელი

შინაარსი

კომპანია, ხედვა და მისია.....	3
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა	4
ძირითადი სამოქმედო ბაზრები და პარტნიორები.....	5
ტერმინალები	6
რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.....	7
SWOT ანალიზი.....	9
ფინანსური რისკები	9

შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ დაარსდა 2009 წელს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202462101). კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ნი წილის მფლობელია სს „საქართველოს რკინიგზა“. შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“-ის ძირითადი საქმიანობაა სარკინიგზო. სახმელეთო და საზღვაო გადაზიდვები, ასევე სატერმინალო მომსახურება თბილისსა და ფოთში. „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ კლიენტებს სთავაზობს ლოჯისტიკურ სერვისებს, მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით, ტვირთის კარიდან-კარამდე მიტანით.

ძირითადი სერვისები:

- საერთაშორისო სარკინიგზო, საგზაო და საზღვაო საკონტეინერო გადაზიდვები
- კონტეინერების გადაზიდვა კარიდან-კარამდე, ცარიელი კონტეინერის უკან დაბრუნებით
- ტვირთის დაცლა, დატვირთვა, დასაწყობება
- ტვირთის ადგილზე მიწოდება
- სატერმინალო მომსახურება
- ტვირთის შენახვა/დასაწყობება
- უნივერსალური საბაჟო-სატერმინალო მომსახურება
- ჩიხების მომსახურება
- სადაზღვევო მომსახურება

შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ ფლობს საკონტეინერო ტერმინალებს ფოთსა და თბილისში. ტერმინალი აღჭურვილია სერთიფიცირებული ამწე ტექნიკით, რკინიგზის ჩიხით, დაცვისა და უსაფრთხოების სისტემით.

სატერმინალო მომსახურებები:

- ყველა ტიპის დატვირთვა/გადატვირთვის სამუშაოები
- სარკინიგზო ვაგონიდან ტვირთის გადატვირთვა მანქანაზე/კონტეინერში და პირიქით
- ტვირთის შენახვა და დასაწყობება


ხედვა და მისია

- ქვეყნისა და ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის, ვუზრუნველყოთ მაღალი ხარისხის მომსახურება, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით
- საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია GR ლოგისტიკა და ტერმინალები ისწრაფვის, რათა მომხმარებელს შესთავაზოს ყველა სახის ლოჯისტიკური მომსახურება ერთი ფანჯრის პრინციპით, მომხმარებლის მაქსიმალური კომფორტისა და კმაყოფილების უზრუნველსაყოფად
- GR ლოგისტიკა და ტერმინალები, როგორც საერთაშორისო პროექტების მონაწილე და მთავარი ოპერატორი, წარმოადგენდეს სანდო პარტნიორს მსხვილი და საშუალო ბიზნესისთვის
- კომპანიის მიზანია საკუთარი ადამიანური, ტექნიკური და მატერიალური რესურსით შეიტანოს წვლილი ქვეყნის მდგრად და სწრაფ განვითარებაში
- უზრუნველყოს ტექნიკურად დახვეწილი და მორგებული ინფრასტრუქტურა, მობილურობა, მომხმარებელზე მორგებული მომსახურება და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა-განვითარება

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა


შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალების“ ორგანიზაციული სტრუქტურა შედგენილია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე, მორგებულია კომპანიის მიზნებსა და სტრატეგიაზე. 2017 წლის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულების რაოდენობა შეადგენდა 127 თანამშრომელს.

აღსანიშნავია, რომ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფთან“ ანაზღაურებულია კომპანიის მიერ.



შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალები“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშეა ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკის სფეროში საქართველოს ბაზარზე. კომპანიის უმსხვილესი პარტნიორებია საქართველოს მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი) წარმომადგენელი კომპანიები. გარდა ამისა, ტვირთბრუნვა აქტიურად მიმდინარეობს აზიის ქვეყნების მიმართულებითაც (ყაზახეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ჩინეთი).

საკონტეინერო გადაზიდვების მიმართულებები ქვეყნების მიხედვით (გეოგრაფიული გადანაწილება):




წყარო: კომპანიის გათვლები, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

შპს „GR ლოგისტიკა და ტერმინალების“ ძირითადი კლიენტები და პარტნიორი ორგანიზაციებია:

- ექსპედიტორები და იმპორტიორები
- ადგილობრივი გადამზიდავები
- საერთაშორისო ექსპედიტორი კომპანიები
- საზღვაო ხაზები

სავაგონო გადაზიდვების მიმართულებები ქვეყნების მიხედვით (გეოგრაფიული გადანაწილება):



წყარო: კომპანიის გათვლები, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

თბილისის ტერმინალი

GR ლოგისტიკა და ტერმინალები ოპერირებას უწევს თბილისში ერთადერთ ტექნიკურად სრულად აღჭურვილ საკონტეინერო ტერმინალს, რომელიც განლაგებულია 5 ჰექტარ ტერიტორიაზე.

ტერმინალზე სრულყოფილი სერვისების განსახორციელებსათვის დამონტაჟებულია სხვადასხვა ტიპის მანქანა-დანადგარები:

- ორი „ჯოჯგინა“ ტიპის ამწე, თითოეულის ტვირთამწეობაა 45-50 ტონა
- ხუთი ავტომტვირთავი 2-3.5 ტონა ტვირთამწეობით
- სამი სარკინიგზო ხაზი 300-640 მეტრი სასარგებლო სიგრძის

ტერმინალის ტერიტორიაზე, აგრეთვე, განთავსებულია დახურული საბაჟო საწყობი, ასევე სამი ერთეული გადატვირთვის მაგიდა ვაგონიდან პირდაპირ კონტეინერში გადასატვირთად და პირიქით. ტერმინალზე განთავსებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული 71 ერთეული 20-ფუთიანი კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სასაწყობედ.

GR ლოგისტიკა და ტერმინალების თბილისის საკონტეინერო ტერმინალში დასაქმებულია 40 ადამიანი.

ფოთის ტერმინალი

GR ლოგისტიკა და ტერმინალები ოპერირებას უწევს ფოთის ტექნიკურად სრულად აღჭურვილ საკონტეინერო ტერმინალს, რომელიც განლაგებულია 8 ჰექტარ ტერიტორიაზე.

ტერმინალზე ოპერირებს შემდეგი ტიპის მანქანა-დანადგარები:

- „ჯოჯგინა“ ტიპის ამწე, რომლის ტვირთამწეობაა 35-40 ტონა,
- რიჩსტაკერი, გამოიყენება გაბარიტული და არასტანდარტული ზომების მქონე ტვირთების გადაადგილებისათვის
- ექვსი ერთეული ავტომტვირთავი 2-3 ტონა ტვირთამწეობით
- სამი თბომავალი

გარდა ამისა, ტერმინალს გააჩნია ორი სარკინიგზო ხაზი, თითო 800 მეტრიანი სასარგებლო სიგრძით. ტერმინალზე განთავსებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული 21 ერთეული 20-ფუთიანი კონტეინერები, რომელიც გამოიყენება სასაწყობედ.


GR ლოგისტიკა და ტერმინალების ფოთის ტერმინალში დასაქმებულია 45 თანამშრომელი.

2017 წლის ჯამური ტვირთბრუნვა თბილისის და ფოთის ტერმინალებში:

Terminals (Tbilisi + Poti)	Jan	Feb	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec	Total
Fact Turnover (Tonnes) 2017	4,304	1,952	1,171	3,823	2,096	2,457	849	358	1,216	1,320	977	2,326	22,849

GR ლოგისტიკა და ტერმინალები ფლობს ორ საინვესტიციო ქონებას, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს ფოთსა და ბათუმში (17,544 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ფოთში, და 54,329 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ბათუმში). აღნიშნული საინვესტიციო ქონება გაცემულია გრძელვადიანი იჯარის პირობით მესამე მხარესათვის.


შემოსავლების პროცენტული გადანაწილება სერვისების კატეგორიების მიხედვით



წყარო: კომპანიის გათვლები, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს შემოსავლების ზრდა, უმეტეს წილად, განპირობებულია სავაგონო, საკონტეინერო და საექსპედიტორო გადაზიდვებით, რაც კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია. სხვა სერვისებიდან მიღებული ხვედრითი წილი შედარებით სტაბილურია წლიდან-წლამდე.


ჯამური საკონტეინერო გადაზიდვები გამოხატული TEU* ერთეულებში, 2016-2017 წლების მონაცემებით:



წყარო: კომპანიის გათვლები, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

*TEU - Twenty Foot Equivalent Unit

ჯამური სავაგონო გადაზიდვები გამოხატული ტონებში, 2017 წლის თვეების ჭრილში:



*წყარო: კომპანიის გათვლები, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, ივნისის და დეკემბრის თვეებში სავაგონო გადაზიდვები მკვეთრად მოიმატა. აღნიშნული გარემოება განპირობებული იყო აზიის მიმართულებით (ერთჯერადად) დიდი რაოდენობის შაქრისა და გოგირდის ტრანსპორტირება.

Strength

- რკინიგზის პარნიორობა
- ექსკლუზიური ფასი / კონტრაქტები
- ტვირთბრუნვა / ბაზრის 70%
- ინფრასტრუქტურა / თბილისის, ფოთის ტერმინალი
- ფინანსური სტაბილურობა / სიძლიერე (სტაბილური მოგება)
- ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე და ძლიერი ნეთვორქინგი

Weakness

- გაუმართავი ორგანიზაციული სისტემა - ფუნქციები, მოვალეობები, პროცესები
- გაუმართავი ბილინგის სისტემა
- ბიუროკრატია

Opportunity

- რუსეთის ბაზარზე ტვირთბრუნვის გაზრდის პოტენციალი
- სასაწყობო მეურნეობების მოწყობის შესაძლებლობა
- ანაკლიის პორტი / გაზრდილი ტვირთბრუნვა
- ახალი ტექნოლოგია (მარცვლეულის ვაგონის ნაცვლად კონტეინერით გადატანა)
- EU ასოცირება / ევროპული ბაზრის გახსნა

Threat

- რკინიგზის პოლიტიკის შეცვლა კომპანიასთან მიმართებაში: ფასები, ტვირთები, კაპიტალი.
- რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის ესკალაცია და ტვირთბრუნვის შემცირება (რუსეთი, ყაზახეთი)
- საერთაშორისო კონკურენტების შემოსვლა / გაძლიერება
- EU სტანდარტების შემოსვლა.
- სავალუტო არასტაბილურობა

სხვადასხვა შიდა და გარე პოლიტიკური მოვლენებები ახდენენ უზარმაზარ ზეგავლენას გადაზიდვების ბიზნესზე. 2017 წელს გაიხსნა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა - რეგიონალური მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთს პირდაპირ აკავშირებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს. ამ პროექტმა საგრძნობლად გაზარდა აზერბაიჯანის და თურქეთის მიმართულებით ტვირთბრუნვა.

გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა აზერბაიჯანის მიმართულებით, 2016-2017 წლებში

მიმართულება	Jan	Feb	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec	Total
აზერბაიჯანი 2017	48	49	2	2	2	218	489	595	834	1,038	483	1,000	4,760
აზერბაიჯანი 2016	15	15	8	5	8	31	26	34	28	52	20	43	285

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ექვემდებარება რეგულარულ და პერიოდულ გადახედვას, რათა მოხდეს საბაზრო პირობებში კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების დროული ასახვა.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი; და
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

დებიტორული დავალიანება: მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველ საბალანსო თარიღისათვის. სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა თუ რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ფასდება პროცენტულად, რომლის საფუძველზეც შეიქმნება საეჭვო მოთხოვნისთვის ინდივიდუალური რეზერვი;

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც ახორციელებენ ლოჯისტიკური და მშრალი ტვირთების გადაზიდვის მომსახურებას. ამ დებიტორებთან დაკავშირებით ხორციელდება დებიტორული ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგი, რის შედეგადაც კონტრაგენტებს მოეთხოვებათ ვალის დაუყოვნებლივ დაფარვა.

კომპანიის საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება კონტრაგენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნით. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. სავაჭრო დებიტორები შედგებიან მრავალი მომხმარებლისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საეჭვო ვალების რეზერვის შექმნით.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, როდესაც კომპანია ვერ უზრუნველყოფს დაკისრებული ვალდებულების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკების პრევენციული მიზნებისათვის კომპანიის მიდგომაა, რომ ვალდებულების გადახდის თარიღისათვის გააჩნდეს ყველა ფინანსური დავალიანების დაფარვის საშუალება, რათა შენარჩუნებულ იქნას კომპანიის მაღალი რეპუტაცია საზოგადოების წინაშე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები აგრეთვე უზრუნველყოფს სამუშაო კაპიტალის (working capital) დადებით ბალანსს, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები უნდა აღემატებოდეს მიმდინარე ვალდებულებებს. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს სამუშაო კაპიტალის პერიოდულ მონიტორინგს.

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების ფინანსური გუნდი ყოველთვიურ რეჟიმში ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მონიტორინგს. კომპანია გეგმავს დაფაროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები შემოსავლებით საოპერაციო საქმიანობიდან.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო უცხოურ ვალუტებში და პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სავალუტო რისკს ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (მაგ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, შესყიდვები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები). ვალუტები, რომელშიც ეს ოპერაციები, ძირითადად, დენომინირებულია არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას არ გააჩნია სესხები ან სხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება პროცენტი.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის გამართული ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.

კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.

კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

ფინსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც წარმოდგენილია საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის მიერ, 2019 წლის 22 მარტს.

დირექტორის მ.შ. ლაშა ახალბედაშვილი

ფინანსური მენეჯერი ბექა ფუტყარაძე

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები აგრეთვე უზრუნველყოფს სამუშაო კაპიტალის (working capital) დადებით ბალანსს, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები უნდა აღემატებოდეს მიმდინარე ვალდებულებებს. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს სამუშაო კაპიტალის პერიოდულ მონიტორინგს.

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების ფინანსური გუნდი ყოველთვიურ რეჟიმში ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მონიტორინგს. კომპანია გეგმავს დაფაროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები შემოსავლებით საოპერაციო საქმიანობიდან.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო უცხოურ ვალუტებში და პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სავალუტო რისკს ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (მაგ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, შესყიდვები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები). ვალუტები, რომელშიც ეს ოპერაციები, ძირითადად, დენომინირებულია არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას არ გააჩნია სესხები ან სხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება პროცენტი.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის გამართული ფუნქციონირება, რათა შეწილებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.

კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.


კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

ფინსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც წარმოდგენილია საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის მიერ, 2019 წლის 22 მარტს.

დირექტორის მ.შ. ლაშა ახალხედაშვილი



ფინანსური მენეჯერი ბექა ფუტყარაძე

